# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 3/205ტ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2020 წლის 19 ივნისს, ერთის მხრივ **სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის სახით და მეორეს მხრივ, **ააიპ ხვამლის ამქარი** (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის დავით სულხანიშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის სატენდერო წინადადების საფუძველზე.

შემსყიდველმა ჩაატარა ელექტრონული ტენდერი (სატენდერო განცხადების ნომერი **NAT200007604**) **ცაგერის მუნიციპალიტეტი, ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიის ტერიტორიის გაწმენდითი სამუშაოების (არქეოლოგის ზედამხედველობით )** შესყიდვაზე **(CPV კოდი 45454100)),** რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეული იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება შეასრულოს ზემოაღნიშნული სამუშაო შემდეგ თანხაზე **39 998.80 (ოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდა თვრამეტი ლარი და 80 თეთრი)** ლარი ყველა გადასახადის **(დღგ-ს გარეშე)** ჩათვლით (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და უზრუნველყოფს სამუშაოს შესრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

## 2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია **ცაგერის მუნიციპალიტეტი, ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიის ტერიტორიის გაწმენდითი სამუშაოები არქეოლოგის ზედამხედველობით,** რომელიც განისაზღვრება ტექნიკური დავალების და სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. შესყიდვის ტექნიკური დავალება და ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი 1 და დანართი 2).

## 3. სამუშაოს შესრულების პირობები

3.1 სამუშაოს შესრულების ადგილია - **ცაგერის მუნიციპალიტეტი, ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიის ტერიტორია.**

3.2 შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშის ჩაბარების საბოლოო ვადაა **ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2020 წლის 31 აგვისტო.**

## 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს შესრულებული სამუშაოს პერიოდული ინსპექტირება.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში.

4.5 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

4.6 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.7 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.8 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ თანამშრომლები: **დ. ტყეშელაშვილი, კ. ფიცხელაური, ე. მაისაია.**

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. მიმწოდებელი ატყობინებს შემსყიდველს **სამუშაოთა ეტაპობრივი და საბოლოო დასრულების შესახებ.**

5.2. წარმოდგენილი პირობებისა და ვადების ფარგლებში მიმწოდებელმა საბოლოო პროდუქციის სახით შემსყიდველს უნდა გადასცეს შესრულებული სამუშაოები, შესრულებული სამუშაოების ანგარიში ტექნიკური დავალების შესაბამისად (საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” მოთხოვნათა შესაბამისად), შესრულებული სამუშაოების აქტები (ფორმა 2).

5.3. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს სრულყოფილებას, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის დღიდან **10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.**

5.4. სამუშაოების დასრულების შემდგომ ხელშეკრულების 4.8 მუხლში აღნიშნული პირების მიერ შემოწმების შედეგად შედგება შესაბამისი დასკვნა და მიღება-ჩაბარების აქტი.

5.5. თუ შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი დადგენილი წესის შესაბამისად მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს და განუსაზღვრავს ხარვეზის აღმოფხვრის ვადას.

5.6. მიმწოდებელი ვალდებულია წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შესახებ შესაბამისი აქტის გაფორმებისა და შეტყობინების მიღებიდან ინსპექტირების ჯგუფის მიერ შეტყობინებაში მითითებულ ვადაში აღმოფხვრას ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი დეფექტები.

5.7. თუ შემსყიდველმა სამუშაოები შეაფასა წუნით, დასრულებულად ჩაითვლება სამუშოები დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ.

5.8. შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის საფუძველზე (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების 4.8 მუხლში მითითებული პირები).

5.9. მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

**6. ანგარიშსწორება**

6.1. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ **2020 წლის ბიუჯეტის (პროგრამა) სახსრებით.**

6.2. გადახდის ფორმა – უნაღდო.

6.3. შესრულებული სამუშაოს ანგარიშსწორება განხორციელდება **ერთ ეტაპად,** მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის, ინსპექტირების ჯგუფის დადებითი დასკვნისა, საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, ყველა ამ დოკუმენტების წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხაზე ნაკლები, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეულის ფასების შესაბამისად.

6.5. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოადგინოს ავანსის სახით გადასახდელ თანხაზე საავანსო საბანკო გარანტია (არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 30%), რომლის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას. საავანსო თანხის გადახდა მოხდება შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის დღიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6.6. დაუშვებელია წინასწარ გადახდილი თანხები მიმწოდებელმა გამოიყენოს სხვა მიზნებისთვის, რაც არ არის გათალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შემთვევაში წარმოადგინოს წინასწარ გადახდილი თანხების გამოყენების შესახებ დასაბუთებული ინფორმაცია.

**7. ფასები**

7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული შესყიდვის ობიექტის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

**8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
8.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების პროცესში აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
8.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.
8.2.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.
8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
8.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
8.3.2. განახორციელოს კონტროლი სამუშაოების წარმოებისას;
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
8.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
8.4.2. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებამდე გადაიხადოს სანებართვო მოსაკრებელი არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის მისაღებად 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით და ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, აიღოს არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
8.4.3. შეტყობინების მიღებიდან **ინსპექტირების ჯგუფის მიერ განსაზღვრულ ვადაში** აღმოფხვრას დეფექტი შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
8.4.4 სამუშაოს განხორციელების განმავლობაში სრულად დაიცვას დადგენილი უსაფრთხოების წესები და მიიღოს შესაბამისი ზომები, რაც უზრუნველყოფს გარემოს, ისტორიული ძეგლის ქონების და სამუშაოებში მონაწილე ყველა პირთა უსაფრთხოებას.
8.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია სამუშაოს შესრულების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს **5 (ხუთი) დღის ვადაში.**
9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

## 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს შეიძლება დაეკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების ან შეუსრულებელი ნაწილის 10%-ის ოდენობით იმისდა მიხედვით მთლიანად არის ვალდებულება შეუსრულებელი თუ ნაწილობრივ;
11.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის (მ.შ. გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვადების ჩამორჩენის, ვადის გადაცილების) გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
11.3 მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
11.4. ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებისას ინსპექტირების ჯგუფის მიერ წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შემთხვევაში, საჯარიმო სანქციების ათვლა მოხდება ხელშეკრულების 5.5. პუნქტში აღნიშნულ აქტში მითითებული წუნის აღმოფხვრისთვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ.
11.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.
11.6. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.

**12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო**

12.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.5 ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

12.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეს.

**13. ფორს-მაჟორი**

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**14. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

14.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**15. გამოყენებული სამართალი**

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**16. შეტყობინება**

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის (მატერიალური ან ელექტრონული) სახით გზავნილის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე/ელ.ფოსტაზე.

16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

**17. გადასახადები და დაბეგვრა**

17.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

17.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან, **2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით**.

**19. სხვა პირობები**

19.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

19.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

**19.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონული ფორმატით, რომლის ამონაბეჭდი არის ელექტრონული დოკუმენტის ასლი და მას ელექტრონული დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ელექრონული დოკუმენტი ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.**

19.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი **ფორმით იქნება შედგენილი და ელექტრონული ფორმატით ხელმოწერილი მხარეთა მიერ.**

**20. მხარეთა რეკვიზიტები:**

| **შემსყიდველი** | **მიმწოდებელი** |
|---|---|
| სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო<br>მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #5<br>ელ.ფოსტა: procurementunit@heritagesites.ge<br>სახელმწიფო ხაზინა<br>კოდი: TRESGE22<br>ა/ა # GE24NB0330100200165022<br>ს/კოდი: 204562311 | ააიპ ხვამლის ამქარი<br>მის: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის 21;<br>Mail: davidgoguadze@gmail.com<br>T: +995 599 41 32 13;<br>სს „საქართველოს ბანკი“<br>კოდი: BAGAGE22<br>ა/ა GE56BG0000000599210900<br>ს/კოდი: 404441270 |
| **გენერალური დირექტორი** | **ხელმძღვანელი** |
| ნიკოლოზ ანთიძე | დავით სულხანიშვილი |

National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

Digitally signed by National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia
Date: 2020.06.19 14:36:57 +04'00'

ხელშეკრულება ხელმოწერილია მხარეთა მიერ ელექტრონული ფორმით

## ცაგერის მუნიციპალიტეტი, ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიის ტერიტორიის გაწმენდითი სამუშაოები არქეოლოგის ზედამხედველობით

### ტექნიკური დავალება

#### ❖ ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების/ძეგლების მოვლა-პატრონობა და მათი შენარჩუნება მნიშვნელოვანია სახელმწიფოს განვითარების პროცესში. ჩასატარებელი სამუშაოებით მოხდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების/ძეგლების დასაცავად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

#### ❖ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის/ძეგლის მოკლე აღწერა

ხვამლი, იგივე ხომლი კირქვული მასივია ლეჩხუმში, ხვამლის მთის პლატოზე, სიგრძე 10.5, სიგანე 7კმ, უმაღლესი წერტილი ზღვის დონიდან 2002მ. (თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით ცაგერის მუნიციპალიტეტი) არაერთი სრულიად შეუსწავლელი, სხვადასხვა პერიოდის-ქვ. პალეოლითი გვ. შუა საუკუნეები- არქელოგიური ობიექტი მდებარეობს.

ზღვის დონიდან 1942 მეტრ სიმაღლეზე G.P.S. 4230511-4242944 დგას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომლის მიმდებარედ ფუნქციურად და ქრონოლიგიურად განსხვავებული ნაგებობების ნაშთები შეინიშნება. დღეს არსებული შენობა XIX საუკუნის ბოლო წლებშია აგებული, ძველი ნაგებობის ადგილზე 2007 წელს გაიწმინდა გალავნის მცირე ფრაგმენტი და კარიბჭე, რამაც გაამყარა ვარაუდი კომპლექსის ქრისტიანობამდელ წარმოშობაზე. კარიბჭე და გალავნის მონაკვეთი გვ. ანტიკური ხანით დათარიღდა, თუმცა საფუძვლიანი შესწავლის შემდგომ არაა გამორიცხული უფრო ადრეული ფენების გამოვლენა.

#### ❖ ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიის ტერიტორიაზე ჩასატარებელი სამუშაოები:

1. ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიის ტერიტორიაზე, გალავნის და მთავარი კარიბჭის გარშემო,ჰუმუსის მოხსნა, ფართობით 45X10X 0.3 მ3,
2. ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიის ტერიტორიაზე, გალავნის და მთავარი კარიბჭის გარშემო ტერიტორიის გაწმენდა არქეოლოგის ზედამხედველობით, ფართობი 45X10X 0.5 მ3,
3. ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიის წრიული ბაქანის მიმდებარედ ნაგებობების ნაშთებზე ჰუმუსის მოხსნა, ფართობით 20X15X0.3 მ3;
4. ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიის ბაქანის მიმდებარედ ნაგებობების ნაშთების გაწმენდა არქეოლოგის ზედამხედველობით, ფართობი 20X15X0.5 მ3;
5. მარნის ტერიტორიის გაწმენდა არქეოლოგის ზედამხედველობით, ფართობი 8X7X0.5მ3;
6. მიწის გატანა 30-40 მ მანძილზე ხელითა და ურიკით;

#### ❖ სამუშაოების ჩატარების პირობები

სამუშაოების ჩატარებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაოთა შესრულების ხარისხობრივ მაჩვენებლებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ფასეული ელემენტების შესანარჩუნებლად. მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოები შეასრულოს საველე-არქეოლოგიური სამუშაოების მეთოდების სრული დაცვით;

მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოებში უზრუნველყოს სტუდენტების ჩართულობა;

სამუშაოთა მიმდინარეობისას გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტები და არქეოლოგიური მასალა მიმწოდებელმა სათანადოდ უნდა დაიცვას დაზიანებისგან, განადგურებისა და დაკარგვისგან, ასევე გარემო პირობებისა და სხვა არასასურველი ზემოქმედებისაგან;

თუ სამუშაოთა მიმდინარეობისას გამოვლინდა მაღალი მატერიალური ღირებულების მქონე ნივთი (ნივთები), ამასთანავე, მეთოდოლოგიური, კლიმატური, ტექნიკური ან სხვა პირობების გამო ვერ ხერხდება

მისი (მათი) დაუყოვნებლივ ამოღება და უსაფრთხო ადგილას ტრანსპორტირება, მიმწოდებელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიმართოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს;

მოძრავი არქეოლოგიური მონაპოვარი, უნდა ჩაბარდეს უახლოეს მუზეუმ-ნაკრძალს, მუზეუმს ან სხვა შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებას სათანადო თანმხლებ დოკუმენტაციასთან ერთად;

სამუშაოების მიმდინარეობისას, ახლადგამოვლენილი გარემოებ(ებ)ით გამოწვეული ცვლილებები შეთანხმებულ უნდა იქნეს შემსყიდველთან.

### ❖ ძირითადი პირობები

მიმწოდებელი შემსყიდველთან შეთანხმებული სამუშაოების გრაფიკის შესაბამისად, წარუდგენს მას ინფორმაციას, წერილობითი ანგარიშის სახით, გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ. იგი ვალდებულია, გაითვალისწინოს შემსყიდველის შენიშვნები და წინადადებები, რაც შემდგომში საფუძვლად დაედება შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებას.

სამუშაოების შესრულების გრაფიკი განსაზღვრავს სამუშაოთა მიმდინარეობას და შემსყიდველისათვის ეტაპობრივად წარდგენის გეგმას.

ჩატარებული სამუშაოების ანგარიშები, უნდა ჩაბარდეს ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;

შრიფტის სახე -Sylfaen;

ტექსტის შრიფტის ზომა - 11;

სქოლიოს შრიფტის ზომა - 10;

სტრიქონებს შორის ინტერვალი - 1,15;

ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხნიდან – 1.5 სმ, მარჯვნიდან - 1 სმ, ზემოდან - 2.5 სმ, ქვემოდან 2.5 სმ.

ავტორის სახელი და გვარი დაიწეროს სათაურის ქვეშ, მარჯვენა მხარეს. ელექტრონული ფოსტის მითითებით.

სურათები - ნუმერაციის მითითება ტექსტში, ფრჩხილების გამოყენებით, მაგ., (სურ.1).

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ლიტერატურისა და შენიშვნების ჩატანა სქოლიოში.

რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

შესრულებული სამუშაოების ანგარიში შემსყიდველს წარედგინება - ანგარიშის ელექტრონული ვერსიის კომპაქტური დისკის (2 ეგზემპლარი), მაღალი რეზოლუციის ფოტომასალის კომპაქტური დისკისა (1 ეგზემპლარი) და მყარი ასლი ალბომის სახით (1 ეგზემპლარი).

მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოების დაწყებამდე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტზე დაამონტაჟოს ჩასატარებელი სამუშაოების ამსახველი საინფორმაციო ბანერი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

მესაკუთრე;

შემსყიდველი;

მიმწოდებელი;

ჩასატარებელი სამუშაოს სახეობა;

### ❖ შემსყიდველისთვის გადასაცემი საბოლოო პროდუქცია

წარმოდგენილი პირობებისა და ვადების ფარგლებში, მიმწოდებელმა საბოლოო პროდუქციის სახით შემსყიდველს უნდა გადასცეს შესრულებული სამუშაოების ამსახველი შედეგები, შემდეგი შემადგენლობით:
შესწავლილი ტერიტორიისა და მასზე არსებული ობიექტების ფიქსაცია, მათ შორის ფოტო და ვიზუალური აღწერის მასალები;
ტერიტორიის (ობიექტის) ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და საარქივო კვლევის მასალები, შესაბამისი წყაროების მითითებით. კერძოდ: სამუზეუმო და საარქივო მასალების (არსებობის შემთხვევაში - ისტორიული რუკები და გენერალური გეგმები, ისტორიული საკადასტრო და ნაგებობების გეგმები, არქივებში დაცული, ტერიტორიის ამსახველი ფოტომასალა) მოძიება;
ტერიტორიაზე მოპოვებული პირველადი ინფორმაციის საარქივო მონაცემებთან მიმართების ანალიზი;
ტერიტორიის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა (მასშტაბი 1:2000 და 1:500), GPS კოორდინატებით;
ტერიტორიის კვადრატებად დაყოფის სქემა, გამოვლენილი ობიექტების განლაგების სქემა და ანაზომი, შურფების განლაგების სქემა;
კროკების შედგენა, გამოხაზული ნახაზები (მასშტაბი 1:25, 1:20) ძირითადი პარამეტრების ზომების დატანით;
ტექსტური აღწერილობა.

### ❖ სამუშაოთა შესრულების ვადები

შესრულებული სამუშაოს ანგარიშის ჩაბარების საბოლოო ვადაა არაუგვიანეს **2020 წლის 31 აგვისტოსი.**

## ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიის ტერიტორიის გაწმენდითი სამუშაოები არქეოლოგის ზედამხედველობით, ხარჯთაღრიცხვა

| № | სამუშაოების ჩამონათვალი | განზომ. ერთ | რაოდენ. | ერთ. ფასი ლარი | სულ ღირებულება ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიის ტერიტორიაზე, გალავნის და მთავარი კარიბჭის გარშემო,ჰუმუსის მოხსნა, ფართობით 45X10X 0.3 მ3, | მ$^3$ | 135.00 | 8.00 | 1080.00 |
| 2 | ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიის ტერიტორიაზე, გალავნის და მთავარი კარიბჭის გარშემო ტერიტორიის გაწმენდა არქეოლოგის ზედამხედველობით, ფართობი 45X10X 0.5 მ3, | მ$^3$ | 225.00 | 50.00 | 11250.00 |
| 3 | ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიის წრიული ბაქანის მიმდებარედ ნაგებობების ნაშთებზე ჰუმუსის მოხსნა, ფართობით 20X15X0.3 მ3; | მ³ | 90.00 | 8.00 | 720.00 |
| 4 | ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიის ბაქანის მიმდებარედ ნაგებობების ნაშთების გაწმენდა არქეოლოგის ზედამხედველობით, ფართობი 20X15X0.5 მ3; | მ³ | 150.00 | 50.00 | 7500.00 |
| 5 | მარნის ტერიტორიის გაწმენდა არქეოლოგის ზედამხედველობით, ფართობი 8X7X0.5მ3; | მ³ | 28.00 | 50.00 | 1400.00 |
| 6 | მიწის გატანა 30-40 მ მანძილზე ხელითა და ურიკით; | მ³ | 628.00 | 8.00 | 5024.00 |
| 7 | ტექნიკური დავალებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ანგარიშის მომზადება | | | | **6695.00** |
| | **სულ პირდაპირი ხარჯები** | | | | **33669** |
| | ზედნადები ხარჯები არაუმეტეს 10% | 10% | | | 3366.9 |
| | **ჯამი** | | | | 37035.9 |
| | მოგება არაუმეტეს 8% | 8% | | | 2962.0 |
| | ჯამი | | | | **39998.8** |

# სამუშაოთა ჩატარების გეგმა-გრაფიკი კვირების მიხედვით

**I.** ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიის ტერიტორიაზე, გალავნისა და მთავარი კარიბჭის გარშემო, ჰუმუსის მოხსნა, ფართობით 45X10X 0.3 მ3.
**II.** ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიის ტერიტორიაზე, გალავნისა და კარიბჭის გარშემო ტერიტორიის გაწმენდა არქეოლოგის ზედამხედველობით, 45X10X0.5მ3.
**III.** ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიის წრიულ ბაქანის მიმდებარედ ნაგებობების ნაშთებზე ჰუმუსის მოხსნა, ფართობით 20X15X0.3 მ3.
**IV.** ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიის წრიული ბაქანის მიმდებარედ ნაგებობების ნაშთების გაწმენდა არქეოლოგის ზედამხედველობით, ფართობით 20X15X0.5მ3.
V. მარნის ტერიტორიის გაწმენდა არქეოლოგის ზედამხდველობით. ფართობით 8X7X0.5 მ3
**VI.** მიწის გატანა 30-40 მ მანძილზე ხელით და ურიკით
**VII** პროექტით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ანგარიშის მომზადება.

| N | Iკვირა | IIკვირა | IIIკვირა | IVკვირა | Vკვირა | VIკვირა | VIIკვირა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| I | | | | | | | |
| II | | | | | | | |
| III | | | | | | | |
| IV | | | | | | | |
| V | | | | | | | |
| VI | | | | | | | |
| VII | | | | | | | |

**ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი**

**ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ**

**ქ. თბილისი** **19 ივნისი 2020 წელი**

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე უფლებამოსილი წევრები ვადასტურებთ, რომ **სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს** მიერ **ცაგერის მუნიციპალიტეტის, ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიის ტერიტორიის გაწმენდითი სამუშაოების (არქეოლოგის ზედამხედველობით) შესყიდვის პროცედურაში** ხელშეკრულება #3/205ტ 19.06.2019 წ. ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებელთან მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

**ჯგუფის წევრები:**

დავით ტყეშელაშვილი

ეკატერინე მაისაია